# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.— კვირა, 13 თებერვალი 1900 წ. № 1043.

ხელის მოწერის ფასი: წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.
ტელეფონი № 372.



1-ლ თებერვლიდან წლის დამლევამდე
„ცნობის ფურცელი“ ღირს 5 მ. 50 კ.
ფასის განაწილება: პირველად—3 მ. და 1-ლ აპრილამდე 2—მ. 50 კ.

1-ლ თებერვლიდან წლის დამლევამდე
„ცნობის ფურცელი“ და „მოამბე“ (იანვრის წიგნიანად) ერთად ეღირება 9 მ. 50 კ.
ამ ფულის განაწილება შეიძლება ასე: პირველად—4 მან., 1-ლ აპრილამდე—3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე—2 მ. 50 კ.

ქართული თეატრი
კვირას, 13 თებერვალს,
ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქმნება
ქ-ნ. მ. საფაროვა-აბაშიძის მონაწილეობით
ბენეფისი
ქ-ნ. ტასო აბაშიძისა
ალიაქოთი
კეთილშობილ ოჯახში
სამ-მოქმედებიანი კომედია
ცელქები
ვოდევილი სიმღერებით
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.—დასაწყისი 8 საათზე.
რეჟისორნი: ვ. აბაშიძე და კ. მესხი.
ოთხშაბათს, 16 თებერვალს, ბენეფისი ქ-ნ. ა. მ. კარგარეთელისა

ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. როინაშვილის მიერ ნაანდერძევი
ფოტოგრაფია
გადატანილი იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში.
(60—8)

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. როინაშვილის მიერ ნაანდერძევს ფოტოგრაფიაში საჭიროა ხაზინადარი-ქალი. მსურველთ ამ ადგილის მიღებისა შეუძლიანთ მიჰმართონ თხოვნით ხსენებულ საზოგადოების კანცელარიას არა უგვიანეს 15 თებერვლისა. ნ. 6—4

სადგურის პირველ კლასის დარბაზში დავკარგე ხელთ ნაწერი (მოთხრობა); მპოვნელმა მომიტანოს პუშკინის ქუჩაზე, საქალაქო ბუდკაში, ავტორს მეღიმონე არტო სომხიშვილს. მპოვნელი მიიღებს ფულად საჩუქარს.


## ახალი ამბავი

✦ ხუთშაბათს, 10 თებერვალს, საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა კრებამ, მრავალ გარეშე პირთა თანადასწრებით, მოისმინა საყურადღებო მოხსენება ე. ნ. ვებერისა ახალქალაქში მომხდარ მიწის ძვრის შესახებ. ბ. ვებერი კავკასიას აკუთვნის იმ ქვეყნებს, რომლებშიაც ხშირად არის ხოლმე მიწის ძვრა. ამასთანავე ის ამტკიცებს, რომ ახალქალაქის მაზრაში 19 დეკემბერს მომხდარ მიწის ძვრას არა აქვს ვულკანიური ხასიათიო. ის იყო გამოწვეული მიწის კანის უბრალო გასწორებით, გაწევით. ასე რომ ყველა ის ლაპარაკი, ვითომც ახალქალაქის მთებში ვულკანი უნდა გაიხსნესო, ვებერის ფიქრით, ტყუილი ლაპარაკია. მძლავრი მიწის ძვრა ყოფილა 19 დეკემბერს 5000 კვადრ. ვერსის მანძილზე. 19 დეკემბრიდან 30-მდე სულ 50-ჯერ შეირყა იქ მიწა. როგორც ჰფიქრობს მომხსენებელი, მიწის კანი ჯერაც არ შესწორებულა ახალქალაქის მთებში, ამიტომ იქ კიდევ არის ხოლმე დრო გამოშვებით სუსტი, თითქმის შეუმჩნეველი მიწის ძვრა ბ. ვებერის სიტყვით, უმეტესად დაზიანდნენ ის სოფლები, რომელნიც მთის ძირებში არიან. ის გარემოება, რომ მიწის ძვრამ მრავალი სახლი დაანგრია, აიხსნება, ერთის მხრით, მიწის ძვრის სიმძლავრით, მეორეს მხრით კი, თვით შენობათა ხასიათით, რომლებშიაც ქვის კოჭები და ბოძები გადაბმულები კი არ არიან, არამედ გადებული არის უბრალოდ და ზედ აყრია მიწა $1^1/_2$ არშ. სიმაღლეზე... სხვათა შორის, შესანიშნავმა მოვლენამ იჩინა თავი ამ მიწის ძვრის დროს. ბევრ ადგილას ახალ წყაროებს ამოუხეთქია. ბორჯომში, ეგრედ წოდებულს ეკატერინეს წყაროში ორჯელ მეტი მჟავე წყალი ამოდის ეხლა; პატარა გოგირდის წყარო გადიდდა და, გარდა ამისა, ახალმა გოგირდის წყარომ იჩინა თავი. . ყარაკუზის მთაზე ჩამონგრეულა ორი დიდი კლდე—ისეთი მძლავრი ყოფილა იქ მიწის ძვრა. იქ რომ ქალაქი ყოფილიყოო, დაუმატა ბ. ვებერმა, ქვა-ქვაზედაც არ დარჩებოდაო... როგორც ზევითა ვსთქვით, მიწის რყევა ახალქალაქის მაზრაში ჯერაც არ შეწყვეტილა. ბ. ვებერმა თქვა, რომ შეუძლებელია ვიცოდეთ, როდის დასრულდება ეს მიწის ძვრაო. ყოფილა მაგალითებიო, რომ მიწის რყევა რამდენიმე წლის განმავლობაში არ შეწყვეტილაო; მაგალითად საბერძნეთში (ფოკიდაში) სამ წელიწად ნახევარის განმავლობაში იძროდა მიწაო, რასაკვირველია, დრო-გამოშვებით.

დასასრულ ბ. ვებერმა გამოაცხადა, სასურველია, მალე დაარსდეს კავკასიაში სეისმიური სადგურები, რომელთაც დაევალება მიწის ძვრის გამოკვლევაო.

✦ გუშინ წინ, 11 თებერვალს, მოხდა კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა, რომელზედაც უნდა განხილულიყო კითხვა აბრეშუმის თესლზე სახელმწიფო კონტროლის შემოღების შესახებ. ხანგრძლივის კამათის შემდეგ კრებამ, ი. ბ. ევანგულოვის წინადადებით, დაადგინა გადიდოს კრება სამშაბათისთვის, როდესაც სამეურნეო საზოგადოების საბჭომ უნდა წარუდგინოს კრებას თავისი დასაბუთებული აზრი ამგვარ კონტროლის შემოღების შესახებ.

✦ კავკასიაში საქონლის ჭირის აზიიდან გავრცელების წინააღმდეგ სამხედრო სამინისტრომ, გაზ. „პრავიტ. ვესტნიკის“ სიტყვით, მიიღო შემდეგი ზომები: 1) გაგზავნილ იქმნენ კასპიის იქითა მხარეს შიდა გუბერნიებიდან სამი სამხედრო ბეითალი, რომელთაც უნდა თვალ-ყური დაიჭირონ ავღანისა და სპარსეთის საზღვრებზე და კრასნოვოდსკში, რომ ამ ადგილებიდან არ შემოიყვანონ ავადმყოფი საქონელი; 2) გაგზავნილ ბეითალებს აქეთ ყოველივე მოწყობილება ჭირიანი საქონლის გასა-

სინჯავად; 3) მიწერილობა გაეგზავნა კასპიის იქითა მხარის უფროსს, რომ აღმოუჩინოს ზემო დასახელებულ ბეითალებს საჭიროების დროს ყოველ გვარი დახმარება; აგრეთვე მიაქციოს ყურადღება სანიტარულ მდგომარეობას საქონლის ჯოგისას; 4) მიეწერა სადამოჟნო გარდასახადთა დეპარტამენტს, რომ საქონლის ჯოგის, ტყავების და სხვა ამ გვარ საქონლის გემით გამოგზავნის ნება მისცენ კრასნოვოდსკში მხოლოდ იმათ, ვინც წარმოადგენს დანიშნულ ბეითალების მოწმობას.

✦ გუშინ ტფილისში **რუსეთის ფოსტა** არ მოსულა.

✦ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ხელმეორედ აღძრა სათანადო შუამდგომლობა ტფილისის გუბერნატორის წინაშე სოფელ შილდაში **ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ.** გამგეობამ ბიბლიოთეკის პასუხის მგებლად და გამგეთ, ნაცვლად უკვე გარდაცვალებულის ნ. ქ. რუსიშვილისა, წარუდგინა გუბერნატორს თ-დი დავით რევაზის-ძე ვახვახიშვილი.

✦ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა უკვე შეუდგა არტისტ-მომღერალის ფილიმონ ქორიძის მიერ ნოტებზე გადაღებულ ქართული სიმღერების ფორტეპიანოს აკკომპანიმენტით ქართულ, რუსულ და იტალიანურ ენებზედ ბეჭვდას. ჯერ-ჯერობით ხსენებული საზოგადოების გამგეობა ბეჭდავს შემდეგ რვა ქართულ სიმღერას: 1) დრონი, 2) სიყვარულსა განმაშორა სოფელმა, 3) ნუ მღერი ტურფავ. 4) ფერად შინდი, ოხუნჯური, რომელშიაც მოთავსებულია ჯერ სოლო, მერე ხორი, შემდეგ დუეტი და თავდება ოთხხმოვანი ხოროთი, 5) დუეტი-ბროლის ყელი, 6) მომაგონდა წარსული, 7) მონადირეთა სიმღერა, რომელშიაც მოთავსებულია ჯერ სოლო, მერე ხორი, კიდევ სოლო და თავდება ხოროთი, სადაც ბანები და ფორტეპიანო ხატავენ ძაღლების ყეფას და 8) მარში, ქართული სიმფონია მეგრულს კილოზე, მარშის მოძრაობით, რომელშიაც მოისმის ჯერ მსწრაფლი მოძრაობა ნაბიჯისა, მერე დაჭრილთა კვნესა-მოთქმა, მერე შესევა, შეტაკება (un asjalto), შემდეგ სიხარული გამარჯვებისა და დასასრულ ხორულის კილოთი გამარჯვებული შინ დაბრუნება.

✦ მარტში პეტერბურგში დაიწყებს მუშაობას საგანგებო კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს შეიმუშაოს პროექტი **ქალთა შორის** სამეურნეო ცოდნის გავრცელების შესახებ.

✦ „ტფ. ფურცლის“ სიტყვით, უკანასკნელ დროს სათავად-აზნაურო სახელმწიფო ბანკის განყოფილებას ტფილისში ბევრი თხოვნა მოსდის ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთაგან **მამულების დაგირავების შესახებ.**

✦ წელს **სამხედრო სამსახურში გაწვეულნი** იქმნებიან ყმაწვილ-კაცობა 1878 წლის 1 ოქტომბრიდან 1879 წლის 1-ლ ოქტომბრამდე დაბადებული. ამ კატეგორიის ტფილისის მცხოვრებთა სიები უკვე დაუმზადებია ქალაქის გამგეობას და გაუგზავნია ტფილისის პოლიცმეისტერისთვის გასაგებად იმისა, თუ რომელი ამათგანნი უნდა იქმნენ განთავისუფლებული სამხედრო ბეგარისაგან საოჯახო მიზეზებისა გამო.

✦ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს შუამდგომლობა აღუძრავს სამიწად-მოქმედო სამინისტროს წინაშე, რომ მიეცეს მას ნება **გამოიწეროს ამერიკიდან 20** ათასი ძირი **ვაზი** კახეთში და შავი ზღვის ნაპირა ადგილებში საცდელ ვენახების გასაშენებლად.

✦ 24 იანვარს ქალაქის საბჭომ, თანახმად ინჟენერი რობის თხოვნისა, დაადგინა მისცეს მას კონცესია მთაწმინდაზე ფუნიკულერის (რკინის გზის) გასაკეთებლად. ეს მოკლე დადგენილება მთხოვნელის მოკლევე პირობებით გაეგზავნა გუბერნატორს დასამტკიცებლად. ახლა გუბერნატორი აუწყებს ქალაქს გამგეობას, რომ საქმისათვის საჭიროა ვიცოდეთ, გარდაწყვეტით ეძლევა კონცესია მიუხედავად იმისა, რა პირობები იქმნება შედგენილი თუ არაო, და გარდა ამისა წინადადებას აძლევს ქალაქის გამგეობას აირჩიოს კომისია პირობის პროექტის შესადგენათ.

✦ „ტფ. ფურცლის“ სიტყვით, წინამძღვარიანთ სკოლის გამგეთ ბ. მალალაშვილის მაგიერ, რომელიც ტფ. სათავად-აზნაურო სკოლაში იქმნა გადაყვანილი, ბ. ს. **დუმბაძე** დაუნიშნავთ.

✦ ამ ჟამად საქარის სანერგეში აღარ არის **ამერიკული ვაზი.** რაც იყო სულ გაიყიდა ქუთაისის გუბერნიაში. შორაპნის მაზრის გლეხობაც შეუდგა ამერიკულ ვაზის გაშენებას და ზედ ჩვენებურ ყურძნის დამყნას. შარშან ამ ვენახებმა კარგი მოსავალი მისცეს მცხოვრებთ.

✦ ტფილისის საბჭ-ს ფინანსიურ კომისიას უკანასკნელს თავის სხდომაზე დაუდგენია მიეცეს გამგეობის საქმის მწარმოებლად ნამყოფს **ნიკ. ზედგინიძეს,** რომელმაც ავადმყოფობისა გამო სამსახურს თავი დაანება, 600 მან. შემწეობა.

✦ გუშინ, ამიერ-კავკასიის რკინის გზების მმართველობამ შეისყიდა მელმანისაგან 300 კვ. საჟენი ადგილი მმართველობისათვის **შენობის გასადიდებლად.** შენობის გადიდებას ეხლავ შეუდგებიან.

✦ ზოგიერთ რკინის გზებზე მალე შემოღებულ იქმნება შემდეგი **ახალი წესი:** მსურველ მგზავრს შეუძლია ჩააბაროს კასსაში ფული, რომელიც თან მიაქვს და ამ ფულს მას ჩააბარებენ იმ სადგურზე, სადაც მიდის.

✦ 10 თებერვალს, ქ. გორში, ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილებამ გაარჩია საქმე სოფ. დოესის (გორის მაზრა) მცხოვრების გლეხის სოლომონ სიდამონიძის და მისის ცოლის ეფროსინიასი, რომელთაც დაბრალდათ მეზობლის სოსიკო ხორბალაძის მოკვლა. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ სოსიკო ხორბალაძე მოსვენებას არ აძლევდა ეფროსინიას საყვარლად გაიხდიო. განზრახვით და თავმობეზრებულ ცოლ-ქმარმა, 3 ოქტომბერს, 1899 წელს, მოჰკლეს მათთან მისული ხორბალაძე. ცოლი მკვლელობას თავის თავზე იღებდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქმარიც იღებდა მონაწილეობას. სასამართლომ ორივე ბრალდებული დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა: სოლომონ სიდამონიძეს — ციხეების ჩამოხსნა და პატიმრების როტაში მუშაობა 3 წლით, ეფროსინია სიდამონიძისას — ციხეში დაპატიმრება 3 წლით.

სოლომონ სიდამონიძე 40 წლის არის, მისი ცოლი — 30 წლის; ხოლო მოკლული ხორბალაძე — 70 წლისა ყოფილა.

✦ სოფ. მაცხოვრის-კარიდან (ზუგდიდის მაზრა) გვატყობინებენ, რომ 5 ამ თვეს სოფ. მოხაშის მცხოვრებ გლეხს ს—იას წაართვეს ყაჩაღებმა 110 მანეთი. პოლიციამ შესაფერი ზომები მიიღო. მოვიდენ სენაკის მაზრის უფროსი, ბოქაულის მოადგილე ბ. ჩიქოვანი და ჩაფრების უფროსი ბ. ჯაყელი რამდენიმე ჩაფრებით. საქმის გამოძიების შემდეგ ისინი ყაჩაღებს გამოუდგნენ. მოიარეს რამდენიმე სოფელი და ბოლოს ყაჩაღებს ზანის საზოგადოებაში ერთ სახლში მიაკვლიეს, მაგრამ ავაზაკებმა თავს უშველეს; დაჭერილია ერთი ჩაფარი.

✦ ს. ზენდიდი (ზუგდიდის მაზრა) გვწერენ: წარსულ კვირაში ამ სოფელში ა. შ—იას ოჯახში მეტად ცუდი ამბავი მოხდა. ცოლ-ქმარს რაღაზედაც უკმაყოფილება მოუვიდათ ერთმანეთთან და ქმარმა — ა. შ—ამ გალახა ცოლი, მოუჭრა ვერაფერი, ააგო წკადი და წკა დაუწყო. ამ დროს გაჯავრებული ცოლი მივარდა უკნიდან და დანა დასცა გულში. დამნაშავე შეიპყრეს. გამოძიების დროს, სხვათა შორის, ჩვენება ჩამოართვეს მათს პატარა ქალს, რომელმაც განაცხადა: «დედა და ბაბა წაიჩხუბნენ; ბაბას დანა ეჭირა, ორივე მიწაზე წაიქცნენ, დედა ადგა და ბაბა არაო». ჰკითხეს: «ვინ გითხრა, რომ ასე გეთქვაო?» მან მიუგო: «დედამ მასწავლაო». საქმე სწარმოებს.

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

**11 თებერვალი**

**ვილნო.** 11 თებერვალს აქაურს სამოსამართლო პალატაში დაიწყო გარჩევა ვილნოს პოლიცმეისტრად ნამყოფის რაევსკის, ბრანდმეისტერის ბეკის, საქმის მწარმოებელის პავლოვიჩისა და სამის მწერლისა, რომელთაც ბრალდებათ სხვა და-სხვა ბოროტ-მოქმედება და, მათ შორის, მეეტლეებისაგან უკანონო გარდასახადის აღება.

**ლონდონი.** დილის გაზეთებში დაბეჭდილია დეპეშა კაპშტადტიდან: „დღეს კრონიემ ითხოვა 24 საათით ომის შეწყვეტა მოკლულთა დასამარხავად, მაგრამ პასუხად მიიღო, რომ მან ან უნდა იბრძოლოს ბოლომდე ან და იარაღი დაჰყაროს.

8 თებერვალს პაარდებერგდრიფტიდან იტყობინებიან, რომ კრონიეს მაგერსფონტეინიდან გამოლაშქრების საქმე, თუმცა პირველად კარგად მიდიოდა, როგორც ეხლა სჩანს, ცუდად დაბოლოვდება მისთვის. ბურების უმთავრესი ძალები დაიმალნენ მდ. მოდდერ-რივერის კალაპოტში; მაგრამ მათ ზედ დაჰყურებს ინგლისის არტილერია. მომხდარი ამბები ნიშანია უკან დახეულის მტრის მამაცობისა: მიუხედავად იმისა, რომ ბურები დაქანცული იყვნენ, ისინი მამაცურად მოქმედებდენ. ინგლისის ქვეითი ჯარის მოწინავე რაზმმა დაიჭირა ფონი და გარს შემოერტყა მტერს, რომელიც ყოველ მხრივ შესანიშნავის ვაჟკაცობით იბრძოდა. ქვეითმა ჯარმა ბანაკზე იერიშის მიტანა მოინდომა, მაგრამ ვერ მოახერხა. ბურების რამდენიმე ფურგონს ცეცხლი წაე-

კიდა და ამ გარემოებამ შეძლება მისცა ინგლისის არტილერიას და ქვეითა ჯარს სროლა არ შეეწყვიტათ ღამეც.

„დეილი ნიუს“-ს დეპეშით ატყობინებენ 9 თებერვალს: კრონიემ, რომლის ჯარი 8000 კაცისაგან უნდა შესდგებოდეს, ომის შეწყვეტის შესახებ თხოვნაზე უარის მიღების შემდეგ, გამოგზავნა ინგლისის ბანაკში შუაკაცი, რომელმაც შეატყობინა ინგლისელთ, რომ კრონიეს დამორჩილება ჰსურს. ამაზე უპასუხეს, რომ, თუ ეს ასეა, კრონიე უნდა მოვიდეს ინგლისელთა ბანაკშიო. კრონიემ არ მიიღო ეს წინადადება და შემოსთვალა, რომ მისი თხოვნა სწორედ ვერ გაუგიათ ინგლისელებსაო და რომ მას გარდაწყვეტილი აქვს იბრძოლოს უკიდურესობამდე. სროლა ისევ დაიწყო.

„ტაიმს“-ის სამხედრო თანამშრომელი დღევანდელს ნომერში სწერს: თუმცა ჩვენ ამ ჟამად გამარჯვებულნი ვართ აფრიკაში, მაგრამ არ უნდა დავევიწყდეს, რომ კიდევ ბევრი საძნიმო საქმე მოგველის. აუცილებელი საჭიროებაა, ომი მალე გათავდეს, რისთვისაც უთუოდ გვმართებს ჯარების გაძლიერება აფრიკაში.

„სტანდარტ“-ი ამბობს: „რაც უნდა ქმნან ბურებმა, ისინი ვერ შესძლებენ დაიცვან თავიანთი საქმე, თუმცა ჩვენ პატივსა ვცემთ მათ სიმტკიცეს და მამაცობას, რომელსაც ისინი იჩენენ წაგებული საქმის მოსაგებად. სამწუხაროა, რომ ბურები ჯერაც არ დარწმუნებულან, რომ სახელისათვის მათ საკმაო გმირობა გამოიჩინეს“.

სამხედრო სამინისტრო საჯაროთ აცხადებს, რომ პაარდებერგდრიფთან 6 თებერვალს ინგლისელებს მოუკლეს 146 უნტეროფიცერი და ჯარის-კაცი. დაჭრილთა რიცხვი ცნობაში არ არის ჯერ მოყვანილი.

ბურების უმთავრეს ბანაკიდან, ლედი-სმიტთან, იტყობინებიან 9 თებერვალს: ორშაბათსა და სამშაბათს მთელი დღე სასტიკი ბრძოლა იყო. დღეს დილით ბრძოლა ისევ დაიწყეს და აქამდე არ შეწყვეტილა. ბურების ოფიცრებს იმედი აქვთ, რომ განდევნიან ინგლისელებს დაჭერილ პოზიციებიდან. ღამე ინგლისის რაზმმა სცადა მდ. ტუგელზე გადასვლა, მაგრამ უკუქცეულ იქმნა; ბურების ზარალი უმნიშვნელოა. ლედი-სმიტიდან ყუმბარებს ესვრიან იმ ადგილს, სადაც მდ. კლინი მთებს შუა მიმდინარეობს. „გრძელი თომა“ მარჯვედ აძლევს პასუხს მტრის ზარბაზნებს.

**კაპშტადტი**, კაპის ახალშენის ჩრდილოეთი ნაწილიდამ ინგლისელებითან და თან სდევნიან ბურებს. მოოიფონტეინი, რომელიც კოლსბერგისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს, ინგლისელ ჯარებს უჭირავთ. რადგანაც ამავე ადგილს უახლოვდება გენ. ბრაბანტი დორდრეხტიდან, ამიტომ ბურები გადადიან ორანჟეს მდინარეს, ორანჟეს რესპუბლიკის საზღვრებში. . .

**ლონდონი**. „დეილი ნიუს“-ს ატყობინებენ მოდდერ რივერიდან ცხრა თებერვალს, რომ კრონიეს ბანაკი მდებარეობს კოოსბერგსდრიფტის ჩრდილოეთით. უწინ მას ეჭირა აგრეთვე გორაკები მდინარის სამხრეთ ნაპირზე, მაგრამ შაბათს ინგლისლებმა დააცლევინეს მას ეს გორაკები. კვირაბრძოლის ველზე მოვიდა გენ. ფრენჩი ცხენოსანი ჯარით. ორშაბათს კრონიემ ითხოვა ომის დროებით შეწყვეტა, მაგრამ თხოვნაზე უარი მიიღო. სამშაბათს დილას სროლა ისევ დაიწყო.

**პეტერბურგი**. 10 თებერვალს ერმიტაჟის თეატრში მათ უდიდებულესობათ წარმოდგენა ჰქონდათ.

11 თებერვალს მათ უდიდებულესობათ დაათვალიერეს კადეტთა მეორე კორპუსი.

12 თებერვალი

**ლონდონი**. 8 და 9 თებერვალს ბულლერს მოუკლეს 4 აფიცერი და 20 ჯარი-სკაცი, დაუჭრეს 5 აფიცერი და 91 ჯარისკაცი.

**დურბანი**. პიტერმარიცბურგში ლაპარაკობენ ნამდვილ წყაროებიდან მიღებულს ამბავს, რომ ბურებმა მიატოვეს კანდლა-კოლენზოს არე-მარე. ინგლისის ჯარმა დაიჭირა ფორტი ვილიე მდინარე ტუგელის ჩრდილოეთ ნაპირზე. მოძრავ ხიდეზე ჯარის გადასვლისათვის არ აღმოუჩენიათ შესამჩნევი წინააღმდეგობა.

**ადენი**. აქ დანამდვილებით აღმოჩნდა, რომ შავი ჭირით ექვსი კაცი გამხდარა ავად და ერთი გარდაცვლილა. გულდასმით გამოკვლევამ ვერ აღმოაჩინა ახალი ავადმყოფები. სასტიკი ზომებია მიღებული ჭირიან ადგილის მოსარიდებლად. დაიმედებულნი არიან, რომ ამით ჭირი მოისპობა.

**ლონდონი**. „ტაიმს“-ში ჩიველედან იუწყებიან, რომ მხოლოდ მცირე რაზმი ამხედრებულ ქვეითა ჯარისა იქნა უკუგდებული მდინარე ტუგელზე გადასვლის დროს.

კოლსბერგთან მყოფ ბურების ბანაკიდან 8 თებერვალს იუწყებიან, რომ რესპუბლიკათა შეერთებული ჯარები დაეცნენ რიტფონტეინთან ინგლისელთა პოზიციებს და დაიპყრეს რამდენიმე იმათგანი, რომელნიც ინგლისელებმა კვლავ აიღეს. ორივე მხრიდან ზარბაზნების სროლა არ შეწყვეტილა.

**პარიჟი**. უმაღლესმა სასამართლომ მიუსაჯა გაბერს განდევნა ხუთის წლით.

**პაარდებერგი**. რობერტსი მივიდა იმ ლაშქრის ბანაკში, რომელსაც კრონიეზედა აქვს მიტანილი იერიში. ცოტა ხანს შემდეგ კრონიემ სთხოვა შეჩერება ბრძოლისა 24 საათით, მაგრამ თხოვნა უარყოფილი იქმნა. სროლა განაგრძეს გაორკეცებულის ძალით. წუხელ და დღეს დილით მტერი ყოველს ღონისძიებას ხმარობდა, რომ გაემაგრებინა თავისი პოზიციები. დილით ინგლისის ჯარები დიდს მეცადინეობას აღარ იჩენდნენ ბრძოლაში, რადგანაც ჰფიქრობდნენ, რომ კრონიე შეიგნებს თავის უკიდურეს მდგომარეობას, დაჰყრის იარაღსო, მაგრამ შუადღის შემდეგ, როდესაც დარწმუნდნენ, რომ კრონიეს აზრათ არა აქვს დაჰმორჩილდეს, ხელ ახლად ასტეხეს საშინელი სროლა.

**ლონდონი**. „ტაიმსი“ სჯის რა პასუხს მარკიზ სოლისბერისას ტეინგეიმის მიმართ შესახებ ბურთა რესპუბლიკებთან განზრახულ დამოკიდებულებისა ამბობს: „ჩვენ ბურების რესპუბლიკების შესახებ მივიღებთ იმისთანავე განსხვავებულს ზომებს, როგორიც გერმანიელთა მიერ იქმნენ მიღებულნი საიმპერიო თემების შესახებ. ჩვენ სრულიად არა ვართ ისეთი დაბალი აზრისა ჩვენს თავზე და ჩვენს ცივილიზაციაზე, რომ ეჭვი გვქონდეს, რომ ის, რაც პრუსიელებმა იმოქმედეს ვესტფალიაში და რეინის მარცხენა ნაპირზე, ფრანცუზების დამორჩილების შემდეგ, წარსულ საუკუნის დასაწყისში, და გერმანელებმა უფრო მეტის სიდიადით ელზას ლოტარინგიაში,—არ შეიძლებოდეს აღვასრულოთ ჩვენ რამდენიმე ხნის განმავლობაში ორანჟეს რესპუბლიკაში და ტრანსვაალში და რომ ჩვენ შეგვეშინდეს ამნაირ ზომათა მიღებისა. ჩვენ აღვასრულებთ იმას იმავე მტკიცე გამბედაობით და, იქნება, მეტის ხანგრძლივი ოთმინებით. ბურების ადგილების დაპყრობა არა კმარა; ჩვენ მაშინ ვიქმნებით დაკმაყოფილებულნი, როდესაც ბურები შეიქმნებიან ინგლისის მოქალაქეები.

**ლონდონი**. „რეიტ. სააგენტ“ კრონიეს ჯარებთან ბრძოლის შესახებ მიღებულ დაწვრილებითი ცნობებიდან სჩანს, რომ კვირას, საღამოთი, ბურებს გარს შემოერტყნენ ინგლისის ჯარები. კვირას, იმ დროს, როდესაც გეილენდერთა ბრიგადა გაშლილ მინდორზე მიემართებოდა მტრისაკენ, აუტეხეს საშინელი სროლა. მათი ჯარები მთელი დღე მიწაზედ გართხმილები იბრძოდნენ და მეტად შეაწუხათ უწყლოობამ. ბინდისას სროლა შეწყვიტეს, რადგანც ორთავ მებრძოლე მხარე საშინლად მოიქანცა ბრძოლაში. გამოქცეულებმა ამბავი მოიტანეს, რომ ბურებიურჩევდნენ კრონიეს დაჰმორჩილებოდა ინგლისელთ. კვირა ღამეს ბურებმა გაამაგრეს სიმაგრეები და დილით მათ ყველა თავის პოზიციები ისევ ეჭირათ. ზარბაზნების სროლა ცოტა ხნით შეწყდა; ქვეითა ჯარი და არტილლერია დაწინაურდა და მიუხედავად მტრის ძლიერის სროლისა, დაიჭირა ბურების პოზიცია ერთ გორაკზე. დილით, ადრე, კრონიემ ითხოვა დროებითი შერიგება, რაზედაც კიტჩენერმა თანხმობა განაცხადა, მხოლოდ იმ პირობით, რომ მათ დაეყარათ იარაღი. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა ამბავი, რომ კრონიე თანახმაა დაჰნებდესო. კრონიე გაემართა მტრის ბანაკისაკენ, მაგრამ გზაში მან მიიღო ამბავი, რომ ტყუვილია, ვითომ კრონიეს ჰსურდეს დამორჩილება; პირიქით ის მზად არის იბრძოლოს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

კიჩენერი დაბრუნდა ბანაკში და უბრძანა ჯარებს განეგრძოთ სროლა. სამშაბათს არტილლერიამ, მათ შორის საზღვაო და გაუბიცის სისტემის ზარბაზნებმაც საშინელი სროლა აუტეხეს მტრისს მროლელ ჯარების თხრილებს 1,000 იარდის მანძილზე.

**ლონდონი** პალატა. გამილტონმა გამოაცხადა, რომ კითხვა შესახებ რუსეთისა და ინდოეთის რკინის გზების შეერთებისა—ისეთი კითხვაა, რომლის განხილვის დროს აწონილ უნდა იქმნას, გარდა მიმოსვლის სიმარჯვისა, მრავალი სხვა მოსაზრებანი. ყოველი ამ გვარი შეერთება უნდა მოხდეს ემირის სამფლობელოში, ამისათვის, ვიდრე მისი თანხმობა იქმნება, გაბილტონს, არა ჰგონია, რომ მაკლინის წინადადება, რომელიც შეეხება კომისიის არჩევანს განსახილველად იმ კითხვისა, თუ როგორ უფრო სამჯობინო იქმნება ამ გვარი შეერთების მოწყობა, აღმოჩნდეს მოსახერხებელი.

**ვენა,** კარლ-თეატრის დირექტორმა იაუნერმა თავი მოიკლა. მიზეზი თავის მოკვლისა არ იციან.

**შეტერბურგის ბირჟა 11 თებერ.**

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდვისა. |
|---|---|---|---|
| | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 218 „ |
| $3^1/_2$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . | $91^3/_4$ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | $97^1/_2$ | — „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | 99 „ | — „ |
| $4^1/_2$% ამავე ბანკისა | — „ | 94 „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | $97^1/_2$ | — „ | — „ |
| $4^1/_2$% იმავე საზოგადოებისა , . , . | 90 „ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგანი სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | $295^1/_2$ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 276 „ |

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

# გამოსადეგი ცნობანი

**საკალენდრო ცნობები.**

**კვირა,** 13 თებერვალი; ახალი სტილით 25 თებერვალი. წლის დასრულებამდე დარჩა 322 დღე. მთვარის მე-28 დღე. ხსენება ღირსისა მარტინიანესი, ეკლოგისა და სვიმონ სერბიელისა.

შემდეგი უქმე—18 თებერვალი,—ყველიერი.

**ნ ი ხ რ ი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 გ. | —11 | კ. |
| სუკი . . . . | 1 » | —15 | კ. |
| » ცხვრისა . | » » | —11 | კ. |
| » კამეჩისა. . | » » | — 5 | კ. |
| » ღორისა. . | » » | — 8 | კ. |
| » ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 » | —10 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 გ. | 5 | კ. |
| » » | II | » » | » | $3^1/_2$ | » |
| » » | III | » » | » | 3 | » |
| იგივე თორნისა | I | » » | « | 5 | » |
| » » | II | » » | » | 4 | » |
| » » | III | » » | » | $3^1/_2$ | » |
| ლავაში ჯკ. მამ. | I | » » | » | 6 | » |
| » » | II | » » | » | 4 | « |

**ტფილისის ბაზრები:**

გაიყიდა მეიდნებზე: კოკზადზე

| | | მ. | კ. | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — | |
| ქერი . . . . . . | 1 | — | 88 | — | 85 |
| სიმინდი . . . . . | 1 | — | 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | — | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60 | — | — |
| კარტოფილი . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი . . . . . . | 1 | — | 50 | — | — |
| თივა . . . . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ბზე . . . . . . | 1 | — | 28 | — | — |

შუშა ოცხილისა 1 სრული საყ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 80 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ 8 მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,— კამეჩი — მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი— მ.

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. |
|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 » 25 » |
| № 1—8 » 50 » | | № 5—7 » — » |
| № 2—8 » — » | | № 6—6 » 75 » |
| № 3—7 » 50 » | | № 7—6 » 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.

შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.

„ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

**სააფთიაქოები**

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა,** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**ჩუღურეთისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების **სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე იავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მექქვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.**

**სახალხო მატარებელი № 1** ბაქოდან ტფილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ.; ტფილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ., ბათუმში მიდის 8 ს. 32 წ. საღ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ., ტფილისში მოდის საღამოს 6 ს. 28 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ., ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

**სახალხო მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., ტფილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

**საფოსტო მატარებელი № 4** ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 05 წ. საღ., თბილისში მოდის 9. 45 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ., ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

მატარებელი № 5 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ., ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. საღ.

მატარებელი № 6 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ., თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 5 ს. 02 წ., მეორე —დღის 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ., ფოთში მიდის—პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, მეორე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე — 9 ს. 49 წ. საღ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—საღ. 9 ს. 48 წ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.


# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,** რომ მის თანადასწრებით, 15 თებერვალს, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია გამგეობის სადგომში საჯარო ვაჭრობა, რომლით უნდა გაიცეს იჯარით ქალაქის საფასწოების გადაკეთების საქმე 3385 მანეთისა.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან გასინჯოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის აღმშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2-მდე.

ნ. 3—3

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,** რომ მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზე, 1900 წლის 17 თებერვალს, გამგეობის სადგომში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით **ქალაქის სასწორზედ გარდასახადის მოგროვების საქმე.** ეს სასწორი არის ტფილისში, სადაც ავჭალისა და ანდრეევის ქუჩა ერთმანეთს უერთდებიან. იჯარით გაიცემა აგრეთვე **ქალაქის ადგილი** ამ სასწორის სამხრეთით, რომელზედაც ეხლა ხილის გასასყიდი შენობა სდგას.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება, შეუძლიან ინახულოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2-მდე.

(ნ. 3—2)


გამომც. გ. ჟურულია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Февраля, 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ბა. განქის დიდი ქუჩა, № 27.